სამშაბათი, 1918 წ. მაისის 21 № 89
წლიწადი მეორე

სამშაბათი, 1918 წ. მაისის 21 № 89

ფასი 20 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე დ ა ქ ც ი ა.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კ ა ნ ტ ო რ ა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 8 მ., 1 საათს შემდეგ 10 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი; თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

## პროვინციელ ხელისმომწერთა საყურადღებოთ.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა უკანასკნელათ აფრთხილებს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილება

სთხოვს გურიიდან ლტოლვილთა და საზოგადოთ ომისაგან დაზარალებულთ გამოცხადდენ საზოგადოების გამგეობაში—(სადგილ-მამულო ბანკ. მექი ფილავასთან) რეგისტრაციისა და დახმარების მისაღებად. 3—1

სამშაბათს მაისის 21, საღამოს 6 საათზე, „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის შენობაში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის სამაზრო და ქუთაისის ყველა უბნების კომიტეტთა წევრების

## შეერთებული სხდომა.

გასარჩევია ფრიად საჩქარო და საყურადღებო საკითხები. ყველა წევრის დასწრება აუცილებელია.

1—1 შეერთებულ კომიტეტების დროებითი კომიტეტი

## რამ დაანგრია რუსეთი და საქართველო?!

ჩვენი სოციალ-დემოკრატები ერთობ მარჯვე არიან ახალი სიტყვების გამოგონებაში და აგერ ახლა ერთი უცნაური ტერმინი შესთხზეს: „ნაციონალური (ეროვნული) ბოლშევიზმი“. თუ არა ვცდები, პირველად ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა იხმარა ეს სიტყვა, ვგონებ, საქართველოს ეროვნულ საბჭოში, ახლა კი იგივე ევგენი გეგეჭკორი მას ფარად და ხმლად ხმარობს თავის სასოფლო ლექციებში.

ამბობენ, რუსეთი და საქართველო „ნაციონალურმა ბოლშევიზმმა“ დაანგრიაო. მაგრამ ვინ არ იცის, რომ არც რუსეთში და არც საქართველოში ნაციონალისტებს არავითარი გავლენა არცა ჰქონიათ და არც აქვსთ. გუჩკოვი, მილიუკოვი და მათი ამხანაგები მალე გადადგენ და მიიმალენ და მართვა-გამგეობა ჯერ კერენსკისა და ირაკლი წერეთლის ხელში იყო, შემდეგ კი სოციალ-დემოკრატ-ბოლშევიკების ხელში.

საქართველოს ხომ თავიდანვე სოციალ-დემოკრატ-მენშევიკები დაეპატრონენ.

სხვათა შორის დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს საქართველომ მათ ხუთასი ათასი ხმა მისცა!

შემდეგ ამიერ-კავკასიის სეიმში მათ შეუერთდენ სომხეთის სოციალისტები—დაშნაკცაკანები და ამგვარად ამიერ-კავკასიასაც სოციალისტები დაეპატრონენ.

დაუმატეთ ამას კიდევ მეორე სოციალისტური მთავრობა, რომელსაც კიდევ მეტი ძალა ჰქონდა,—მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ცენტრი—და დარწმუნდებით, რომ ამიერ-კავკასიისა და კერძოდ საქართველოს საქმეებს—სოციალისტები განაგებდენ.

მეტადრე საქართველო შეიქნა სოციალისტური ცდების სარბიელად. სოციალ-დემოკრატებმა სეიმში მიწის კანონი „მუსავატისა“ და დაშნაკელების შემწეობით გაიყვანეს, მაგრამ ხსენებული კანონი არც ადერბეიჯანს განუხორციელებია და არც სომხეთს, ვინაიდან მათმა ეროვნულმა საბჭოებმა კარგად იცოდენ, რომ მისი განხორციელება მათს ქვეყნებს ანარქიის სარბიელად გადააქცევდა.

ამგვარად ადერბეიჯანსაცა ჰყავდა საკუთარი მთავრობა და სომხეთსაც: მათი ეროვნული საბჭოები მათთვის მთავრობათ წარმოადგენდენ და წარმოადგენენ დღესაც.

ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა კი ჩვენი ეროვნული საბჭო საინფორმაციო ბიუროდ გადააქციეს.

შესთხზეს უცნაური სადგილ-მამულო კანონი, რომელმაც საქართველოში მეურნეობას ძირი გამოუთხარა, სახელმწიფოს ძვირფასი ქონება დაუკარგა, ხაზინა გააკოტრა და სოფლად ანარქია გაამეფა.

ხალხს სახელმწიფო გადასახადები არ გადაახდევინეს. ახლად მოჭრილ ფულის კურსი გაკოტრებული სახელმწიფოს (რუსეთის) ფულის კურსს ხელოვნურად გაუთანასწორეს, რუსული ფულის ტრიალი შინაურ ბაზარზე არ აკრძალეს, რუსულ ფულს სახელმწიფო გადასახადებში ღებულობენ და მით საკუთარი ფულს ყოველივე ღირებულება დაუკარგეს.

მოსპეს დისციპლინა ჯარში და ყოველივე წესიერება სამოქალაქო ცხოვრებაში.

არივ-დარიეს სურსათის საქმე. გაამძაფრეს ვაჭრობა და მრეწველობა.

დაანგრიეს გზები, შეწყდა მიმოსვლა.

ჩამოვარდა შიმშილობა და წარმოუდგენელი სიძვირე.

განა ყველაფერი ეს საქართველოს დასანგრევად არა კმაროდა?!

რა ძალა ჰქონდათ ნაციონალისტებს?! როდის მიჰყვებოდა მათ ხალხი?

ამგვარად რუსეთი და შემდეგ საქართველო „ნაციონალურმა ბოლშევიზმმა“ კი არ დაანგრია, არამედ სოციალისტურმა ბოლშევიზმმა, ანუ რაც იგივეა—სოციალისტურმა ანარქიამ და დეზორგანიზაციამ.

გაიგეთ ბატონო სოციალ-დემოკრატებო, თქვენი ცოდვები სხვას არ გადააბრალოთ: სულ ერთია, რაცა ჰქენით, იმის დამალვას ვერ მოახერხებთ!

**მესთამტეხი.**

## ქართული პრესა

გაზ. „საქართველო“ № 95-ის მეთაურში ეხება საქართველოს და კერძოთ ამიერ-კავკასიის „პირისუფლების“ რუსული პარტიების მოღვაწეობას, მათი პრესის შეხედულობას დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაზე და სამართლიანად განაგრძობს.

„ბორბა“ სცდილობს ოსმალეთის შემოსევის პასუხისმგებლობა ნაციონალისტებს მიაკუთვნოს. განა ამისათვის საკმარისია დემაგოგიური ფრაზები? ტყუილი ცდაა. სინამდვილე, მწარე სინამდვილე იმდენად ნათელია, რომ ის ასეთი ფრაზებით არ დაიფარება.

საქართველოს, საკუთარი გზით და პოლიტიკით, შეეძლო შენარჩუნება ყოველივე იმის, რაც მან დაჰკარგა სხვაზე გადაბმით და გადაკიდებით. მას დღესაც მოუხერხდებოდა ბევრი რამეს გამოსწორება, მაგრამ მას აქამომდე არ უშვებენ ამ საშინელ ამიერ-კავკასიურ წუმპიდან.

საქართველოს ჰმართავს ამიერ-კავკასიის მთავრობა. ვითომც და დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიის მთავრობა ჰკვლის თუ ნიშნავს რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტია. ამიერ-კავკასიის მთავრობის გაზეთებს „ერთობას“ და „ბორბას“ დღემდის ამშვენებს წარწერა—რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. სოციალ დემოკრატიული „ბორბა“ ამიერ-კავკასიის მთლიანობას, მის დემოკრატიულ ფრონტსა და რევოლუციის მონაპოვრებს დასტირის. ქართველ ერს ამაზე ბევრად მეტი საგლოვი აქვს და რუსულ ინტერნაციონალიზმით შეკერილ რუსულ ნაციონალიზმს ის ვერაფრით ანუგეშებს. მაგრამ თუ ქართველი ერი შეუდგება იმის გამოკვლევას თუ რად გახდა ის ასე უმწეო და რად დაჰკარგა მიწა-წყალი, თავისუფლება, მას უწინარეს ყოვლისა მოუხდება იმის გამორკვევა, თუ რად არ მოხდება ამიერ-კავკასიიდან რუსის ჯარის ევაკუაციასთან ერთად რუსული პოლიტიკური ძალების, რუსული პარტიების და რუსული პოლიტიკის ევაკუაცია, რად მეთაურობს საქართველოს რუსული პარტია და რუსული პოლიტიკა? გაგონილა სადმე და ოდესმე, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოს უცხო სახელმწიფოს პარტია ჰმართავდეს?

* * *

გაზეთი „ერთობა“ ორგანო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ ეკამათება გაზ. „საქართველოს“ და სწერს:

საქმე ის არის, აგვაცდენს თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოსალოდნელ განსაცდელს. ნაციონალისტებისათვის რომ ყური დაგვეგდო, ჩვენ დიდი ხნის წინედ უნდა დაგვერღვია დემოკრატიული ფრონტი. ხალხს, დემოკრატიას არ შეუძლია აჩქარება და საქართველოს დემოკრატიაც მხოლოდ იმ შემთხვევაში გადადგამს ასეთს ნაბიჯს, როცა სხვა გზა მას არ ექნება“.

საინტერესოა ვიცოდეთ რამდენათ გულწრფელია „ერთობის“ სიტყვები.

ნუ თუ დღემდის ვერ დარწმუნებულა „რუსეთის სოც. დემოკრატების“ ორგანო „ერთობა“, რომ საქართველოს არსებობისათვის გარდა დამოუკიდებლობის გამოცხადებისა სხვა გზა არ არსებობს?!

ნუ თუ დღემდის ვერ შეიგნეს ამიერ-კავკასიის ერთა განწყობილება და მისი მდგომარეობა? და თუ შეიგნეს მოიგონონ მათი მოძღვარის მარქსის სიტყვები;

— „მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას“.

## ო მ ი.

### კავკასიის ფრონტი.

ოფიციალური დეპეში.

**გუმრის ალების დაწვრილებითი ცნობები.**

15 მაისს 17 საათზე ჩვენი მარჯვენა ფლანგით, ოსმალოებმა ორთაკილისი დაიკავეს, გადაჭრეს რკინის გზა და ჯაჯურისისკენ დაიწყეს შეტევა. მარცხენა ფლანგით ოსმალოებმა მცირე კარაკლისი აიღეს და ზურგით შემოუარეს გუმრს. ოსმალოების მიერ დროებითი ზავის დარღვევას ქალაქს და მის გარშემო სოფლებში დიდი შიშიანობა გამოიწვია: მცხოვრებლები გარბოდნენ და ის ჯარისკაცებიც თან მიჰყავდათ, რომელნიც ოჯახების გადასარჩენათ მიეშურებოდნენ. რადგან მდგომარეობა უიმედო იყო, ბრძანება გამოვიდა რომ გაეგზავნათ ოსმალოებთან პარლამენტიორები იმ მიზნით, რომ შეემუშავებიათ წესი ქალაქის გადაცემის ოსმალოებისათვის რაც შეიძლება ხელსაყრელ პირობებში. გუმრის ციხე-სიმაგრის და ქალაქის ჩაბარების პირობები ასეთია: 1) მთელი იარაღი უნდა დარჩეს ქალაქში და გადაეცეს ოსმალოებს; 2) ქალაქში შემოვა მხოლოდ

ნაწილი ოსმალოს ჯარისა წესიერების დასაცავად, დანარჩენი ჯარი კი განაგრძობს შეტევას აღმოსავლეთით; 3) ჩვენი ჯარი 15 კილომეტრით უნდა დაცილდეს კარსჩაის; 4) რკინის გზის სადგური, დეპო, სახელოსნოები, ორთქლმავლები და ყველაფერი ქალაქსა და ციხეში ხელუხლებლად და მთლიანად უნდა იქნეს. ჩვენი ნაწილები უნდა მოეწყოს პოზიციებზე გუმრის აღმოსავლეთით.

### დასავლეთის ფრონტი

გერმანიის ცნობა.

**ბერლინი.** მაისს 16. კემელის რაიონში საარტილერიო სროლაა. ლა-ბასსეს არხის და სომმა და ავრის შუა ჩვენი პოზიციების წინაღმდეგ განუწყვეტელ საარტილერიო ცეცხლს ანთებენ. მტერი ზარალდება. ჩამოვაგდეთ მტრის 33 ჰაეროპლანი.

### იტალიის ფრონტი.

**ვენა.** მაისს 16. ბრენტისა და პიავეს შორის მონტე ასოლომოსა და მონტე პერტიკის მახლობლად იტალიელთა მზვერავი რაზმები გავფანტეთ.

## „ტაიმსი" და დასავლეთის ფრონტი.

გაზეთი „ტაიმსი" დასავლეთის ფრონტის მდგომარეობას ასე აღწერს:— გერმანელებმა დასავლეთის ფრონტზე 30--35 დივიზიების მიმართულებით მოქმედება განაახლეს. მათ ჰყავთ 10—11 დივიზია. მათი დანაკლისი უდრის 120 ათას კაცს. სულ კი მარტიდან გერმანელებმა დაჰკარგეს 350—400 ათასი კაცი. ასეთივე დიდი ზარალი ნახეს მოკავშირეებმა, განსაკუთრებით ინგლისელებმა. მათ მარტო ტყვედ 700 ათასი კაცი დაჰკარგეს. ორივე მებრძოლ მხარეს დააკლდათ 1 მილიონამდე. ამასთან ერთი მესამედი სამუდამოდ მოაკლდენ ჯარს. 1918 წლის გაზაფხულმა და ზაფხულმა უნდა გადასწყვიტოს ომი და თუ ეს ვერ მოხერხდა, დასავლეთის ფრონტზე მებრძოლ სახელმწიფოებმა ახალი გზები უნდა მონახონ. შესაძლოა მორიგდენ ბრძოლიდან ადრე გამოსული რუსეთის ხარჯზე. გერმანულ პრესა უკვე ლაპარაკობს ამის შესახებ. გერმანეთის რუსეთში მოქმედება თანდათან იმ აზრზე გვაყენებს, რომ ასე თუ ისე, როგორც სჩანს, მსოფლიო დრამა რასახრულს უახლოვდება.

მაგრამ გერმანეთი ომის გათავებას შეეცდება არა შეთანხმებით, არამედ ხმლით. მას მარქაფად ჰყავს ჯერ კიდევ 40 დივიზია და შესაძლოა, რომ გადამწყვეტ წამში გერმანეთი მათზე დაამყარებს დიდს იმედებს.

## მთავრობის ცნობა

**გუმრის ამბები.**

უკანასკნელ ოპერატიულ ცნობიდან გავიგეთ, რომ გუმრი დაიპყრეს ოსმალოებმა 15 მაისს ნაშუადღევის 5 საათზე და ჩვენმა ჯარმა აღმოსავლეთისაკენ დაიხია. 16 მაისს ოსმალეთის ჯარმა წარუდგინა გენ.-ლეიტ. ნაზარბეკოვს ულტიმატუმი, მოითხოვდნენ: 1 საათის განმავლობაში პასუხი მოგვეცით გაუშვებთ თუ არა ჯულფის მიმართულებით ჯარს. ოსმალეთის უფროსმა შემოუთვალა ნაზარბეკოვს: „თუ თქვენ უზრუნველჰყოფთ გზას, რომლითაც ჯარები წავლენ, დარწმუნებული იყავით რომ ჩვენი ჯარის გადასვლა სრულიად ლოიალური იქნება, იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მეგობრულად არ მოგვექცევით, იძულებულნი ვიქნებით ფეხით წამოვიდეთ და პირობას ვერ დავდებთ, რომ მცხოვრებლები დაუშავებელნი დარჩებიან". თან დასძინდა, რომ ის დაიწყებს წინსვლას პასუხის მიღებამდისაც. ვადის გასვლის გამო გენ. ნაზარბეკოვმა გადაწყვიტა დათანხმებოდიყო ოსმალეთის სარდლების მოთხოვნილებაზე, ამიერ-კავკასიის მთავრობისაგან პასუხის მიღებამდე, და ამ.-კავ. მთავრობას მიუთითა მაზე, რომ პოლიტიკურ ხასიათის საკითხები მთავრობამ უნდა გადაწყვიტოსო. გენ. ნაზარბეკოვი დასთანხმდა ოსმალების ულტიმატუმზე და მოითხოვა სამხედრო მოქმედება შეეჩერებინათ და როგორც ამიერ-კავკასიის ისე ოსმალეთის ჯარები არ დაეტოვებიათ იმ ადგილებზე, სადაც ეხლა იმყოფებიან. გენ. ნაზარბეკოვმა სთხოვა ოსმალეთის ჯარის უფროსს ნება მიეცით გუმრიდან და მის მიდამოებიდან გამოქცეულებს თავიანთ ბინაზე დაბრუნდნენო.

მთავრობა გენ. ნაზარბეკოვს დაეთანხმა იმ პირობით, რომ ტეხნიკური პირობები ბათომში იქნება განხილული და მოითხოვა ჯარის უმტკივნეულოდ სადემობილიზაციო ხაზზე გადაყვანა, რათა არ მოხდეს ორი ლაშქრის შეტაკება.

რადგანაც ბოლო დროს ოსმალეთის ჯარის უფროსმა გუმრის მიმართულებით გენ. ნაზარბეკოვს პოლიტიკურ ხასიათის ულტიმატუმების წარმოდგენა დაიწყო, მთავრობამ საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს ა. ჩხენკელს გადასცა: თხოვოს ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარეს ყოველგვარი პოლიტიკური ხასიათის საკითხების შესახებ პირდაპირ მთავრობას მოელაპარაკოს.

## ზავის გარშემო.

**ბათომის საზავო მოლაპარაკება.**

კერძო ცნობების მიხედვით ბათომის სამშვიდობო მოლაპარაკებას ჩვენს სასარგებლოდ კარგი შედეგები მოჰყვება. როგორც ბათომიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ ბათომი თავისუფალ ქალაქად გამოცხადდება. ოსმალების ხელში იქნება მხოლოდ სიმაგრეები. ოტომანის სახელმწიფოს დელეგაციას რკინის გზის სარგებლობის მოთხოვნაზე ხელი აუღიათ. უკანასკნელად განსახილველად დაშთული ყოფილა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების საკითხი. ოსმალთა ჯარის ერთი ნაწილი ამ დღეებში სტამბოლისაკენ გაიგზავნება. ბათომის საზავო მოლაპარაკება ამ დღეებში დასრულდება.

**რომის პაპა და ბრესტის საზავო ხელშეკრულება.**

რომიდან იუწყებიან, რომ პაპი ომის გათავებამდე არ სცნობს არავითარ ახალ სახელმწიფოს და ბრესტის ზავით შექმნილ მდგომარეობას იგი სანქციაში არ მოიყვანს.

**ელზას ლოთრინის საკითხი.**

რაიხსტაგის მთავარ კომისიას განზრახული აქვს ფარულ სხდომაზე ელზას ლოთრინის საკითხის განხილვა. ამ საკითხის გარშემო უკვე წარმოობს მოლაპარაკება გერმანეთის მთავრობის და იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც შედიან გერმანეთის იმპერიის შემადგენლობაში.

## უცხოეთი

თეთრი გვარდიის მიერ ტამერფორსის აღების შემდეგ, დახვრიტეს რუსის 500 ოფიცერი და ჯარის-კაცი. ხვრეტავდენ [illegible] ტამერფორსის აღებამდის საშინელი [illegible] ხლის მღვრელი ომი მოხდა. დაიღუპნენ 4000 [illegible] თეთრგვარდიელები და გერმანელები.

— ოფიციალური ცნობის თანახმად იმპერატორმა კარლმა ავსტრიის გენერალური შტაბის უფროსის თანხლებით უმთავრეს სამხედრო სადგომში ინახულა კაიზერი. მოხდა თათბირი, რასაც ჰინდენბურგიც დაესწრო. თათბირი შეეხებოდა გერმანეთისა და ავსტრიის კავშირის განმტკიცებას.

— ინგლისის პარლამენტში მონტეგიუ ამ დღეებში გააკეთებს მოხსენებას ინდოეთში კონსტიტუციური მართვა-გამგეობის შემოღების შესახებ.

— ვაშინგტონიდან ფრანგულ გაზეთებს ატყობინებენ: ამერიკის სენატში თათბირი დაიწყო, რომ შეჰქნან სახელმწიფოთა კავშირი. სენატორმა ოუენმა განაცხადა, წინადადება მიეცეს: საფრანგეთს, ინგლისს იტალიას და იაპონიას, რომ შეერთებული შტატების კავშირში შევიდენ. საიდუმლო ხელშეკრულებაში განმარტებული იქნება საერთაშორისო სამართალი, დებულება. ხელშეკრულების მომხრენი წინადადებას მისცემენ გერმანეთს შესწყვიტოს ომი 60 დღით, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გამორიცხავენ საერთაშორისო ბაზრიდან.

## მღელვარება უკრაინაში.

— გერმანიის გაზეთები საყვედურს აცხადებენ იმის შესახებ, რომ უკრაინაში წესიერების აღსადგენათ საჭიროა დიდი ჯარი, არა ნაკლები რამდენიმე დივიზიისა.

ხსენებული გაზეთების გადმოცემით უკრაინაში გერმანელების მდგომარეობა დღითი დღე უარესდება.

პოლკოვნიკი რეპინგტონი აცხადებს, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე, რუსეთის სამშვიდობო, ხელშეკრულებაზე ხელის

## მკითხველის შენიშვნები.

„ლიგეია" № 3. ორკვირეული დამატება.

რად დაურქმევიათ ქართველ სოციალ რევოლუციონერებს თავის გაზეთის სალიტერატურო ორკვირეულ დამატებისათვის „ლიგეია" მე არ ვიცი. გამიგონია მხოლოდ რომ ეს სახელი ეწოდება ედგარ პოს ერთ-ერთ ნაწარმოებს. ჩემდა სამწუხაროდ ეს ნაწარმოები არ წამიკითხავს (ვაი ჩემს ჩამორჩენას!) თორემ შეიძლება რაიმე გასამართლებელი საბუთი ჰქონდეს გაქართველებულ რუსულ პარტიას (სოც. რევოლუციონერებს), როდესაც ასეთი უცნაური, არა ქართული სახელი გამოუძებნიათ თავის ორკვირეულ დამატებისათვის. ყოველ შემთხვევაში საქმე სახელი კი არა, საქმე სახრავია ე. ი. შინაარსი და მოდით ისევ ამ „შინაარსზე" ვილაპარაკოთ...

გარდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსისა, რომელსაც გასაგები სახელი მაინც ჰქვიან („შენი ღიმილი") ისეთი სათაურის ლექს მოთხრობებია დაბეჭდილი ამ დამატებაში, რომ სიტყვების რახარუხისა და აზრთა აბდა უბდის მეტს ვერას შეხვდებით.

ამის დასამტკიცებლად მარტო სათაურების ჩამოთვლაც კმარა: „ტრიოლეტი," „მაისის ტრიოლეტები," „რეა," „ლამის დარბაზი", „შემოდგომის ყვავილებიდან", „ავი სიზმარი" და „ამარტისფერ წარსულიდან".

დაუკვირდით მარტო ამ სათაურებს მეტქი და სულ ქვეშ მიბრძანეთ: რომელი ქართველი ლაპარაკობს ამ სიტყვებით, ან რომელმა მკითხველმა უნდა გაიგოს რამე?.. რა ეშმაკია ეს „ამარტისფერი წარსული"? ან რა ჯანდაბაა „ტრიოლეტი"? რაში გამოადგება იგი მშრომელ ხალხს, რომლის ერთეულებსაც ასე იჩემებს გაქართველებული რუსული პარტია? ან იქნება „ცისფერი ყანწების" დაფნის გვირგვინები მონატრებიათ ახალგაზრდა ავტორებს, რომ ასე საგანგებო სათაურებს უგონებენ თავის შემოქმედებას?...

შეიძლება ლექსიკონი გადაგვიშალონ და გვითხრან: „ამარტა-მძივია ქვეუათაგან (ნახ საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, გვერდი მეცხრე, მეორე სვეტი) ტრიოლეტი კი ისეთი რვა სტრიქონიანი ლექსია, სადაც რამდენიმე სტრიქონი მეორდებაო" (ნახეთ რუსული ლექსიკონი)

ვეთანხმებით! ახსნილი და განუმარტებელი ქვეყნად არა არის რა, მაგრამ, ჯერ ერთი, სად უნდა ეძებოს სოფლელმა მდაბიო მკითხველმა თუნდა სოციალ-რევოლუციონერიც იყოს) ლექსიკონები და მეორეც ერთი, როგორ გაიგოს, ან განიცადოს „ამარტისფერი წარსული"?.. ვსთქვათ წარსული წარსულია, მაგრამ საიდან გახდა ეს წარსული „ამარტისფერი"? ამას რომელი ლექსიკონი აუხსნის ადამიანს?!..

უფრო უკეთესი არ იქნება ვწეროთ და ვილაპარაკოთ ისე, როგორც სწერენ და ლაპარაკობენ ჭკუა დამჯდარი ადამიანები? რა საჭიროა გამოძებნა და გამონახვა ისეთი სიტყვებისა, რომლებიც არაფერს არ ეუბნებიან მკითხველის სულსა და გულს და მხოლოდ აფიქრებენ:—ცოტა აფრაკად ხომ არ არიან ასეთი მწერლებიო?...

არა! მე ვამტკიცებ, რომ ბევრი მათგანი დიდი ნიჭიერიც არის, მაგრამ ჩვენი ძველი თუ ახალი მწერლობისა და ხალხური ენის უცოდინარობამ გზიდან გადააგდო იგინი.

ეს ერთგვარი დაქვეითებაა, ერთგვარი გადაგვარებაა ქართულის ხელოვნებისა, ისე, როგორც გადაგვარდა ქართული პოლიტიკური აზროვნება, ქართული ვაჟკაცობა, რასაც თავისი ღრმა მიზეზები აქვას და რაზედაც სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მოვა დრო, საქართველო ერთხელაც იქნება შესდგება თავის მშობლიურ გზაზე, ახალგაზრდობა აღიზრდება ქართულ სკოლებში, შეისწავლის ქართულ ისტორიას, სიტყვიერებას, მწერლობას, ზნე ჩვეულებას, ქართულად დაიწყებს ფიქრსა და გრძნობას და მაშინ სასაცილოდლა თუ იქნება ისეთი ლექსები, როგორიც „ლიგეიასა" და სხვა მრავალ ახალ მოდის ჟურნალებში იბეჭდება...

მე არ დავასახელებ ავტორებს. ღმერთმა ხომ იცის გულთ მტკივა, როცა ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა დიდ სისულელეს სჩმახავს ხოლმე, ჰგონია რა თავის თავი „ახალი ენისა და ქართულ პოეზიაში ახალი მიმართულების შემქმნელად" მაგრამ თქვენ გკითხავთ, ძვირფასო მკითხველებო, ბოდვაა ქვემოდ მოყვანილი მაგალითები, თუ მართლა პოეზია? შეიძლება მე ჩამოვრჩი ცხოვრებას და მაშინ, რასაკვირველია ბოლოში მევე უნდა მოვიხადო..

მაშ ამიხსენით, გეთაყვანეთ, რას ნიშნავს, ან რას განცდევინებთ ასეთი ლექსები?..

... დაქანცულ ფიქრებს ღამის ლანდი ულოლიავებს,
სიკვდილის ლანდი ჩაეკვრება გულს განაცეებს (!).

ან:

ჩემმა ოცნებამ ქარტეხილებს თავი უდარა,
და გაალმერთა ყმლჭირვება, ჰლექი, სუდარა,
გამაამაყა მე—უძლური, ვით ჰანიბალი,
ჩემმა ოცნებამ ქარტეხილებს თავი უდარა,
**ჰაშიშით მსგავსად აამღვრია ჩემი იდბალი** (!!)

ან:

მე ღმერთივით ვარ, ჩემთვის ნურვინ ნუ შესწუხდება.
იცვლება წამი თითქოს მე ვარ ბოროტ ქუჩაზე (!).
შედგა დამწვარი მათხოვარის ბინძურ ძონძებით
დღეებს ვალამებ პირუტყვივით ერთ ალუჩაზე. (!)
მოდის გამგლეჯი და მამცირებს გროშის ბოძებით (!).

ან:

თმა გადავიბარცხნე, წავისევი (!) ფერუმარული
(ანაზდათ მნახი სარაყიფოდ თვალს აინთებდა (!).
მწყზარათ (!) მხიბლავდა ყოველივე, როგორც მარული
**და უცხოთ მორთულს სიამაყე მარაინდებდა,**

და სხვა და სხვა და სხვა...

მე არა მსურს სათითაოდ გავარჩიო აქ მოყვანილი ტაეპები და ლირსეულად გავამასხარაო მათი უშინაარსო „შინაარსი", ეს თქვენის მსჯავრისა და განცდისათვის მომინდვია, მკითხველო, ვიტყვი მხოლოდ, რომ ცოდვაა როცა „ენა მჭევრი ცუდად მეტყველებს!"..

ღმერთმა დალახვროს, ვინც გზიდან გადააგდო ლდევანდელი საქართველო და მისი მწერალ პოლიტიკოსნი. მაგრამ ანკი მეტს რას შეგვძლევნიდა ასი წლის მონობა, და სხვისი ჭკუით, ენითა და ფეხებით სიარული!..

(დასასრული იქნება.)

**ია ეკალაძე.**

მოწყრის შემდეგ გერმანელთა არსებობა არა სასურველ პირობებში მიმდინარეობს.

— „ვეჩ. იზვეს“. იტყობინება, რომ კიევის და ჩერნიგოვის გუბერნიის გლეხობის შორის დიდი მღელვარებაა. გლეხები ახლად დანიშნულ გერმანიის მოხელეების წინააღმდეგ მიდიან, არ უშვებენ სოფლებში და ზოგ ადგილებში ისინი კიდეც მოჰკლეს.

ამ მღელვარების გამო მოხდა გერმანეთის მთავრობის სხდომა, რომელზედაც დაადგინეს: მოუწოდონ გლეხებს უკრაინისა და გერმანეთის მთავრობის სახელით და აღნიშნონ რომ მათი მღელვარება არ არის მიზანშესაბამი და ხაზი გაუსვან იმას, რომ გლეხების ინტერესებს უკრაინის მთავრობა ყოველთვის დაიცავს.

## სეიმის გარშემო.

— **საისტორიო კომისიის დაარსება.** სეიმმა განიხილა და დაამტკიცა კანონპროექტი იმის შესახებ, რომ დაარსდეს ისტორიული კომისია. ამ კომისიამ უნდა შეკრიბოს ყველა მასალები, მოიწვიოს მცოდნე პირები კერძო მონაგრაფიათა და ომის ამბების აღსადგენად. კომისიის წევრების თანაშემწეებათ მოიწვევენ საჭირო რიცხვს რედაქტორებისას, კორექტორებისას და სხვ. ამ კომისიის კანცელარიის შესანახავად გადადებულია 6,305 მანეთი.

— **სამკურნალოების გახსნა** ამიერკავკასიის სეიმის დადგენილებისამებრ თბილისში უნდა გაიხსნას 4 სამკურნალო 1655 საწოლით. ამ სამკურნალოების შესანახად გადაიდვა 497,420 მანეთი.

— **თანხის გადადება თავდაცვისათვის.** სეიმის უკანასკნელ კრებაზე დამტკიცებულ იქმნა კანონპროექტი იმის შესახებ, რომ თბილისში დაარსებულ თავდაცვის შტაბს გაეხსნას 212,720 მანეთის კრედიტი.

— **ბრძოლა ანარქიასთან.** მთავრობას სეიმში შეაქვს პროექტი, ზაქათალის ოლქში ანარქიასთან ბრძოლისთვის შედგენილ იქნას დროებითი კომისია. ამ ზომების განსახორციელებლად განზრახულია გადაიდვას 138,530 მანეთი.

## მთავრობის მოქმედება.

### გზათა მიმოსვლის სამინისტროში.

გზათა მიმოსვლის სამინისტრო შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ სამინისტროს შესანახათ სასწრაფოთ გადადებულ იქმნეს თანხა. მინისტრების ჯამაგირებისათვის 40, 475 მანეთი, პირადი შემადგენლობისათვის 34,475 მანეთი, ბინის დასაქირავებლად 3000 მანეთი, და ინვენტარებისა და ბინის მოსაწყობათ 30,000 მანეთი.

### შრომის სამინისტროში.

შრომის სამინისტრო ამზადებს პროექტს ლტოლვილთათვის სამუშევარის აღმოსაჩენათ.

### დახმარება ლტოლვილებს.

ეროვნული საბჭოების, ქალაქის თვითმმართველობის და ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელთა თათბირმა, მზრუნველობის მინისტრის თავმჯდომარეობით დაადგინა: მიენდოს ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარეს შეიმუშაოს პროექტი ლტოლვილთა დახმარების აღმოსაჩენათ, ეთხოვოს შრომის მინისტრს მოაწყოს საზოგადო სამუშავრები, ეთხოვოს სურსათის საქმეთა მინისტრს, რომ განჯისა და ბაქოს გუბერნიის მცხოვრებთ სურსათი მიაწოდოს და ეთხოვოს მთავრობას ჩააქროს ანარქია.

## სადგილ-მამულო რეფორმა.

— **სამინისტროს განმარტება.** სადგილმამულო რეფორმა ადგილობრივად რომ ცხოვრებაში ერთნაირათ გატარდეს, ამის გამო მიწად მოქმედების მინისტრმა საჭიროთ სცნო, ყველა სადგილ-მამულო კომიტეტებს მიწების მიმღებ კომისიებს და სამინისტროს რწმუნებულს გაუკეთოს მთელი რიგი განმარტებათა.

— **ნორმა მონასტრების და ეკლესიების.** მემამულეზე მიწის განსაზღვრული ნორმის დატოვება მონასტრებისა და ეკლესიებს არ ეხება, რომელთა მიწებს კონფისკაციას უყოფენ. ადგილობრივ სადგილ-მამულო კომიტეტებს უფლება აქვთ ხსენებულ მონასტრებისა და ეკლესიებს საკუთარი მეურნეობისათვის დაუტოვონ განსაზღვრული რაოდენობა მიწისა.

**საბალახოები.** ის საბალახოები, რომელიც ეკუთვნის ქალაქებს და ქალაქის ხაზს გარეთ მდებარეობს, სადგილ-მამულო კომიტეტებს არ გადაეცემა.

— **მიწები საზოგადო დაწესებულებათა.** მიწათ მოქმედების განმარტებით სხვადასხვა საზოგადო კულტურულ დაწესებულებებათ როგორიც არის მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენი, სულით ავადმყოფთა კოლონია სურამში და სხ.) მიწები არ ჩამოერთმევათ იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული დაწესებულებაში, ამ მიწებზე საკუთარ მეურნეობას მოაწყობენ.

— **შრომის სამინისტრო განმარტავს:** 1918 წლის 7 მარტის სადგილ-მამულო კანონს და დასძენს, რომ მიწის ნორმა დაწესებულია ოჯახისათვის, როგორც მთლიან სამეურნეო ერთეულისათვის.

— **მიწადმოქმედების სამინისტროს** განმარტებით კანონი მიწის კონფისკაციისა ვრცელდება ქალაქს გარეთის მიწებზე, ხოლო კერძო პირთა საამხანაგოთა და საზოგადოებათა მამულის კონფისკაციის საკითხი ქალაქში კანონმდებლობის წესით გადაიჭრება.

## ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

**გადმოხვეწილთა დახმარება.** ამიერკავკასიის მთავრობამ ქართულ ეროვნულ საბჭოს გადასცა ერთი მილიონი მანეთი, რომელიც უნდა მოახმარონ ომისაგან დაზარალებულ ლტოლვილთ. ეროვნულ საბჭოს ამ დღეებში კიდევ მიეცემა 3 მილიონი მანეთი. იმ ერთი მილიონი მანეთიდან, რომელიც ეროვნულმა საბჭომ მიიღო 800,000 მანეთი გამოეგზავნება გადმოხვეწილთა დამხმარე ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტს, 200,000 მანეთი კი გადაეცემა თბილისის კომიტეტს. თბილისის საგუბერნიო დამხმარე კომიტეტმა გურულთა საჭიროებისათვის ქ. კავკავში უკვე შეუკვეთა 10 ვაგონი სიმინდი.

◆ **სახალხო სკოლების გამგეთა საყურადღებოთ.** ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების სამოსწავლო კომისარიატი აუწყებს გუბერნიის ყველა ტიპის სახალხო სკოლების გამგეთ და მასწავლებელთ რომ მიმდინარე სამოსწავლო წელიწადი დასრულებულია და მათ ევალებათ დაუყონებლივ შეუდგენ სამოსწავლო წლის ლიკვიდაციას-18 მაისი 1918 წ. ხელს აწერენ: ნ. მგელაძე, გ. ჰუმბურიძე, მ. გავაშელი, ილ. ფერაძე, ლ. გაგუა.

◆ **ჩამოსართმევი მიწები.** ქუთაისის სამაზრო სადგილ-მამულო კომიტეტმა უკვე შეადგინა სია იმ პირთა, რომელთაც მიწები უნდა ჩამოერთვას. სია ამ დღეებში გამოქვეყნდება.

◆ **მიწების მიმღები კომისია.** ქუთ. სამაზ. სადგილ მამულო კომიტეტმა უკვე შეადგინა ქუთაისის მაზრისათვის მეოთხე კომისია, რომელიც მიწების ჩასაბარებლად მუშაობას დაიწყებს ხონის რაიონში.

◆ **მამულების ჩაბარება.** უკანასკნელი კვირის განმავლობაში ქუთაისის რაიონში მიწის მიმღებ კომისიას ჩაუბარებია 200 დესეტინამდე მიწა.

◆ **პ. წულუკიძის მამული.** 17 მაისს მიწის ჩამბარებელმა კომისიამ ს. კვახჭირში პ. წულუკიძეს ჩამოართვა 31 დესეტინა მიწა.

◆ **ლტოლვილი ბერძნების თხოვნა.** ლტოლვილი ბერძნებმა თხოვნით მიმართეს სამაზრო სადგილ-მამულო კომიტეტს, დაუთმოს დასამუშავებლად მათ საკმაო მიწა ანანოვის მამულში. კომიტეტმა მათ წინადადება მისცა, რომ ასეთი თხოვნით მიმართონ ამიერკავკასიის მთავრობას. ბერძენ ლტოლვილთა რიცხვი 1078 კაცს უდრის.

◆ **დახმარება ლტოლვილებს.** ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ დაადგინა გურიიდან გადმოხვეწილთ აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება რითაც კი შეიძლება. ლტოლვილები დახმარების მისაღებათ უნდა გამოცხადდენ სადგილ-მამულო ბნვკში, მექი ფილავასთან.

ოთხშაბათს, 22 მაისს, დილის 10 საათზე „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატ. პარტიის თანამგრძნობ ახალგაზრდობის (სტუდენტ-მოწაფეების განურჩევლად სქესისა)

# საერთო კრება.

მოხსენებას წაიკითხავს ალ. თორაძე; განხილულ იქნება აგრეთვე საორგანიზაციო საკითხები. ვსთხოვთ ყველა. ქალაქში მყოფ თანამოაზრეებს აუცილებლად დაესწრონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ **რუსული წარმოდგენა.** დღეს ქალაქის თეატრში რუსულ ენაზე წარმოდგენილ იქნება ცნობილი პიესა ირეთელისა „ქრისტინე“

◆ **საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი** 10 მაისს მოხდა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის კრება, რომელზედაც დაადგინეს შეიძინონ საკმაო სიმინდი სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში და ჩრდილოეთ კავკასიაში. (!)

◆ **სასურსათო საქმეთა მინისტრი** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს ატყობინებს, რომ მცხეთიდან გურიას გაეგზავნება დღეში თითო-ვაგონის იმინდი -- სულ 6 ვაგონი.

◆ **სამუსიკო ინსტრუმენტების აღმოჩენა.** 29 მაისს, სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა, ბალის ქუჩაზე, ციბაძის სახლში მოახდინა ჩხრეკა, სადაც აღმოაჩინა სამხედრო მუსიკის შემდეგი ინსტრუმენტები: ორი ბასი, ორი ტენორი, ერთი ბარიტონი, ერთი ალტი, ოთხი კორნეტი, ორი ბარაბანი, ერთი კლარნეტი და ნოტები, ინსტრუმენტები გადაეცა მუშათას აბჭოს, სადაც არსდება ორკესტრი.

◆ **პროვოკაცია.** ქუთაისში საიდანაც გაჩნდენ რუსის მატროსები, რომელნიც პროვოკაციას ეწევიან, ვითომც სოხუმში ბოლშევიკებს მთავრობისაგან გაგზავნილი რაზმი დაემარცხებიოს.

◆ **დაპატიმრება.** 19 მაისს ტყიბულში დააპატიმრეს გიორგი ყრუაშვილი, რომელსაც ბრალდება ქურდობა და სხვადასხვა ბოროტება.

◆ **ბოროტება.** ამას წინად მეღვინეობისა და მევენახეობის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა სოფლის კოოპერატივებს დაწესებულ ფასეში გაუნაწილა შაბიამანი მცხოვრებთათვის დასარიგებლათ. ზოგიერთ კოოპერატივებს შაბიამანისათვის თავისი ნიხრი დაუდვია და ერთი სამათ ჰყიდიან, რის უფლება მათ არ აქვთ.

◆ **ქუთაისის ქალაქის სასურსათო გამგეობა** აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ მაისის მეორე ნახევარის და ივნისის მთელი თვის შაქრის ულუფის მიღება შეიძლება მდგომარე 20 მაისიდან (ახალი სტილით)

◆ **ახალი პიესა.** მაისის 19-ს ქალაქის თეატრში წარმოადგინეს ახალი ორაგინალური პიესა „რევოლუციის რიჟრაჟზე“ ხალხი ბევრი დაესწრო. დაწვრილებით შემდეგ.

### პროვინცია.

— **ფოთი.** სამხედრო სამრეწველო პორტის უფროსად ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ დაინიშნა ტ. სპრენკველი. ყოფილმა უფროსმა პეტროვმა მთავრობის განკარგულებამდის თავის მოვალეობა არ ჩააბარა.

— ქალაქის თვითმართველობამ შეიძინა გემები: „მიხეილი“ და „დობროვოლსკი“.

— **ქ. გორი.** 14 ივნისიდან (ძველი სტ.) აგრონომ ი. ქურდიანის რედაქტორობით. გორში გამოვა ქართული სამეურნეო ჟურნალი „ახალი მეურნე“, რის მეთაურობა ეკუთვნის გორის სამეურნეო საზოგადოებას. ჟურნალი კვირაობით გამოვა.

— ამავე სამეურნეო საზოგადოებამ შეადგინა საგანგებო რაზმი, რომლის მიზანია სოფლის მეურნეთა დახმარება და ხეხილისა და ვაზის მოწამვლა. რაზმი უკვე მზად არის და ყველი საფასურით, მის დახმარებით ისარგებლოს.

— **ს. დიდი ჯიხაიში.** მაისის 19 აქ დააპატიმრეს ცნობილი ყაჩაღი კ. ყუფარაძე.

— კვირას აქ ჩამოვიდა მფრინავი რაზმი რომელიც იარაღის ჩამორთმევის საქმეს შეუდგა.

— ადგილობრივ ბაზარზე ფუთი სიმინდი 19 მანეთად იყიდება. აბრეშუმის თესლის ერთი კოლოფი 5—10 მანეთად.

— თავდაცვის საჭიროებისათვის ადგილობრივ მცხოვრებთ ცხენები ჩამოართვეს. გლეხები სჩივიან, რომ მათთვის შესაფერი მოწმობები არ მიუციათ.

### თ ბ ი ლ ი ს ი.

— **პირველი ქართული ორიგინალური ოპერა.** ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის ინიციატივით ქართულ კლუბის შენობაში დაიდგმება პირველი ქართული ორიგინალური ოპერა „ქრისტინე“. მუს. გოგნიაშვილისა.

— **ერევანში 135** ათასი მაჰმადიანი ლტოლვილია. მდგომარეობა აუტანელია, სომეხთა მიწები და ბაღები დაუმუშავებელი დარჩა. მდგომარეობა კრიტიკულია: იქ ანარქია სუფევს და მთავრობას დახმარებას სთხოვენ.

— **გუმრის ამბები.** გუმრიდან თფილისში ჩამოვიდა იქაური სასურსათო კომიტეტის წევრი ტ. გევორქიანი, რომ ოსმალეთის ულტიმატუმი სპარსულ ენაზე ყოფილა დაწერილი, წინად კი გუმრის მთავრობას და ოსმალოებს შორის საქმე ფრანგულ ენაზე სწარმოებდა.

ყუმბარების სროლა ქალაქზე გაძლიერდა იმის გამო, რომ ხამი საათის განმავლობაში სპარსულ ენის მთარგმნელი ვერ იპოვეს.

სხვათაშორის ოსმალოებმა ყუმბარები დაუშინეს რკინის გზის დეპოს, ყიზახთა სადარაჯოს, ორთაკლისის გზას და კომერციულ სასწავლებელს.

მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი გაიქცნენ გუმრიდან, აქ დარჩა ბანკები და ფოშტა-ტელეგრაფი მოსამსახურეებით. როდესაც გამოირკვა რომ ოსმალები მცხოვრებლებს არაფერს უშავებენ, გენერალ არეშევმა გაქცეულებს წინადადება მისცა უკან დაბრუნებულიყვნენ.

— **ქართულ სიმღერა-გალობის კურსები.** ძმ. კავსაძეებმა ქართულ გუნდის მუდმივ არსებობისათვის და შევსებისათვის გახსნეს ქართულ სიმღერა-გალობის კურსები, სადაც ყველას შეუძლიან შეიძინოს ცოდნა ხალხურ სიმღერა-გალობისაა და მომზადდეს ქართულ გუნდისათვის. ჯერ-ჯერობით ვაჟებისათვის და შემდეგ განზრახულია ქალთა გუნდის დაარსებაც.

## ქ. ბათომი.

### მოხელეების ჩამოსვლა.

ბათომის აღების მეხუთე დღეს ქ. ბათომში სტამბოლიდან ჩამოვიდნენ ართვინის, გონის და ზედა და ქვედა აჭარის ოლქები ახლად დანიშნული უფროსები, სახელმწიფო დაწესებულებათა მისაღებათ. სტამბოლიდან ჩამოვიდნენ აგრეთვე სამოქალაქო სამართველოს მოხელენი და სახალხო განათლების სამინისტროს განსაკუთრებული მოხელე, რომელსაც მიზნათ აქვს შეისწავლოს ადგილობრივი სამოსწავლო დებულებანი და მომავალი სასწავლო წლიდან გახსნას ახალი სკოლები.

### სასურსათო საქმეები.

ჟანდარმერიის უფროსის მოხსენების

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმად ბათომის გენერალ გუბერნატორმა ბძანება გამოსცა, რომ არჩეულ იქნეს 3 წევრიდან სასურსათო კომისია, რომელიც სასურსათო გამგეობასთან შეუდგება სასურსათო საქმეების მოგვარებას.

**საქმის წარმოება.** ადგილობრივი მთავრობის განკარგულების მიხედვით თხოვნები და სხვა ქაღალდები, რომელიც ეხება სამხედრო საქმეს, შედგენილ უნდა იქნეს თურქულ ენაზე. კორესპონდენციების გზავნა ფოსტით ტრაპეზუნდისაკენ უკვე მოეწყო. ფულის და ამანათების გადაგზავნის საქმე ჯერ მოწყობილი კიდევ არ არის.

**ახალი გაზეთი.** 10 მაისიდან ბათომში რუსულ ენაზე გამოვიდა უპარტიო გაზეთი „ბათომი.“

## გრიგოლ ვეშაპელის სიტყვა.

**წარმოთქმული მაისის 14 საქართველოს ეროვნული საბჭოს კრებაზე.**

ჩვენისთანა პატარა ერისათვის ყოველივე კითხვის გადაწყვეტის დროს, ერთად-ერთი სავალდებულო საზომი — საქართველოს გარეშე მომქმედ სახელმწიფოებრივ ძალთა ანგარიში არის.

სოციალ-დემოკრატებს ჰგონიათ, რომ მათი ანალიზი საქართველოს საგარეო მდგომარეობისა, რომელსაც ემყარება „ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის“ გეგმა, ისე სწორეა, რომ მეფე ერეკლეც ამ მენშევიკურ გზას დაადგებოდა, საფლავიდან რომ ამდგარიყო.

ჩვენ კი გვგონია, რომ სოციალ-დემოკრატებს დღესაც ისე ცუდად ესმით კავკასიის საგარეო საქმეები, როგორც ცუდად ესმოდათ აქამდის ეს საქმეები, რუსეთის რესპუბლიკას რომ ლოცულობდნენ.

სოციალ-დემოკრატების საგარეო პოლიტიკის მარცხის მიზეზი ის არის, რომ სოც.-დემოკრატიული პარტია იყო და არის რუსეთის ორიენტაციის პარტია — ამ მხრივ ის მართლაც, მემკვიდრეა მეფე ერეკლეს პოლიტიკისა.

მაგრამ რუსეთის ორიენტაცია მანამდის იყო შესაძლო, სავალდებულო ქართული პოლიტიკისათვის, სანამ თვით რუსეთი ცოცხალი იყო.

საქართველოში რუსული პოლიტიკა მაშინ გათავდა, როცა რუსების ჯარების უკანასკნელი ეშელონი მოშორდა ნავთლუღს.

ამის შემდეგ საქართველო ფაქტიურად, ძალა-უნებურად გერმანეთ-ოსმალეთის კავშირის ორიენტაციაში მოექცა.

საჭირო იყო დროზე ანგარიში ამ ახალი საგარეო ძალებისა და მათი დროზე გამოყენება საქართველოს სახელმწიფოს აღორძინებისათვის.

ამ საქმეს აკეთებდნენ საზღვარ გარედ მყოფი ქართველი ნაციონალისტები.

მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა ვერ შესძლეს ამ ახალი ორიენტაციის გაგება მათ უკანასკნელ წუთამდის სწამდათ და ასე თუ ისე დღესაც სწამთ რუსეთის ფანტასტიური დემოკრატიული რესპუბლიკა; ამიტომ სოციალ-დემოკრატების ძველი და ახალი სახელმწიფო კომბინაციები, ისეა შედგენილი, რომ ადვილი იყოს რუსეთის დემოკრატიასთან კავშირის განახლება, თუ ვინიცობაა რუსეთის დემოკრატია კვლავ წამოდგა ფეხზე. ამიტომ არის, რომ სეიმის სოციალ-დემოკრატებმა (ქართველებმა!) ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც საგანგებო მანიფესტით მიმართეს ეგრედ წოდებულ რუსეთის დემოკრატიას, — არ გეწყინოთ: ჩვენი გული და სული ისევ თქვენთან არისო!

საქართველოს ეროვნული პოლიტიკისათვის კი რუსული წირვა საუკუნოდ გამოსულია; ქართველ ნაციონალისტს აღარ შეუძლია წარმოიდგინოს რუსების დაბრუნება საქართველოში; ასი წლის უკანასკნელი ვადა არის პატარა ერის მონობისათვის, თუ ამ დროში თავი არ გაინთავისუფლა ბატონისგან, უნდა საბოლოოდ გადაგვარდეს... ამიტომ სჯობს თვით ეშმაკსაც კი შევეკრათ კავშირით, ოღონდ რუსები აღარ შემოუშვათ საქართველოში.

რუსეთს რაც შეეძლო გაგვაკეთებინეთ. — მეფე ერეკლეს ეგონა, რუსების ძალით მთელ საქართველოს გააერთიანებდა. როგორც საქრისტიანოს, ისე სამაჰმადიანოს; ნამდვილად მხოლოდ საქრისტიანო საქართველო გაერთიანდა ეკონომიურად, კულტურულად და პოლიტიკურად.

ახლა საგარეო ძალები სწორად უნდა ვიანგარიშოთ და ისე მივიღოთ და ისე გამოვიყენოთ ახალი, აუცილებელი ორიენტაცია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის ინტერესი დაცული იქნას; — ჩემთვის, როგორც ნაციონალისტისათვის, მთავარი საქმე, ქართველი ერის სახელმწიფოებრივი მთლიანობა არის, რომელი სახელმწიფოებრივი ფორმაც უზრუნველჰყოფს ამას, ის არის კარგი, გინდა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა იყოს ეს გინდა მისი ანტიპოდი...

საქართველოს დღევანდელი საგარეო მდგომარეობა ასეთია: ჩვენმა მეზობელმა თათარ-თურქებმა, მეფე ერეკლეს დროს რომ ცალ-ცალკე სახანოებად იყვნენ დაყოფილი, ერთი ეროვნულ პოლიტიკური სხეული შექმნეს აძერბეიჯანი; აძერბეიჯანის ხელმძღვანელი პარტიები მტკიცედ ადგიან ოსმალეთის ორიენტაციას; მათ უნდათ ოსმალეთის იმპერიის შემწეობით აღადგინონ თურქული სახელმწიფოები კავკასიისა და სპარსეთის აძერბეიჯანში; ყირგიზეთში, ბაშკირიაში, თურქესტანში და დაუკავშირონ იგინი ოსმალეთს. ეს ცხოვრების ტენდენციაა და ვერავითარი კომბინაციებით ამ თავისთავად ნაციონალურ სამართლიან პროცესს ხელს ვერ შეუშლით.

დაახლოვებით ასეთსავე ოსმალურ ორიენტაციას, მხოლოდ უფრო პანისლამისტური ვიდრე პანთურქული ადგია მთიულეთ-დაღესტანი;

მაშასადამე კიდევაც რომ მოხერხდეს კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის მოწყობა, ეს რესპუბლიკა, მეტმრავლესე მაჰმადიანობის კარნახით, ჯერ ფაქტიურად, მერმე კი იურიდიულადაც ოსმალეთის პროტექტორატს მიიღებს და მაშინ საქართველომაც თავისი საგარეო პოლიტიკა მხოლოდ სტამბოლის პორტას უნდა დაუქვემდებაროს.

(დასასრული იქნება)

## მოქალაქე გრიგორ ურატაძე ექიმთა კავშირის წინააღმდეგ.

კარგი უნებებია მოქალაქე გრ. ურატაძეს, „ექ. სეგალის ისტორია“ რომ გაზეთის საშუალებით გამოუმზეურებია, (იხ. „სოციალ-დემოკრატი“ 18 და 19 მაის.), ვინაიდან ამით, უეჭველია, სიმართლის აღდგენას ხელი შეუწყო.

უნდა აღვიარო კი, ჩემდა, სამწუხაროდ, რომ მისი წერილი თავიდან ბოლომდის სიმართლეს მოკლებულია.

ახალ ღვინოს ახალი თხიერი უნდაო, ნათქვამია. და, როდესაც თვითმპყრობელობა დაემხო ქუთაისის გუბერნიის ექიმთა კავშირს იმედი მიეცა, გუბერნიაში მკურნალობის საქმეს აწ მაინც ეყოლებოდა შესაფერი მოჭირნახულე.

კავშირი თავის იმედს იმაზე ამყარებდა, რომ გუბერნიის გამგედ ძველი ადმინისტრაცია კი აღარ იყო, არამედ ხალხის მიერ არჩეული საბჭო, და ელოდა, რომ გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტი და მისი თავმჯდომარე მოქალაქე გრიგორ ურატაძე ექიმთა კავშირის ხმასაც ყურადიღებდა.

მაგრამ მოვსტყუვდით.

ექიმთა კავშირმა აღმასრულებელ კომიტეტსა და მის თავმჯდომარეს ერთი დემოკრატიული და თან მიზანშესაბამი მოთხოვნილება წარუდგინა: გუბერნიის ექიმი, მისი თანაშემწეები და სამაზრო ან სასოფლო ექიმები ინიშნებოდენ მხოლოდ იმ კანდიდატთა შორის, რომელთაც ექიმთა კავშირი აირჩევსო.

ამით გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტის უფლება სრულიად არ არის უარყოფილი: კომიტეტს შეუძლია არ დაამტკიცოს პროფესიური კავშირის მიერ არჩეული კანდიდატი; მაშინ კავშირი ახალ კანდიდატს ირჩევს. უეჭველია, ამგვარი საარჩევნო წესი სრულიადაც არ უარჰყოფს შეთანხმებას.

ბანკები ბუხჰალტერებს ხშირად პროფესიური კავშირის მიერ დასახელებულ კანდიდატებს შორის ირჩევენ.

და ეს არა თუ დემოკრატიული, არამედ მიზანშესაბამი და სასარგებლოც არის.

მეტადრე საექიმო საქმეშია ეს საჭირო.

მოქალაქე გრიგორ ურატაძეს გუბერნიის ექიმის თანამდებობა მარტო თბილი ადგილის საკითხად მიაჩნია! ექიმთა კავშირს კი ასე ჰგონია, რომ გუბერნიის ექიმი, რომელიც გუბერნიის სამკურნალო საქმეს სათავეში უდგია, უპირველესად სათანადო მეცნიერული ცოდნითა და საქმისადმი სიყვარულით აღჭურვილი და აღგზნებული უნდა იყოს. და ვის შეუძლია დააფასოს ექიმის მეცნიერული ან თუნდ მოქალაქობრივი ღირსება და ნაკლულოვანება ისე, როგორც ექიმთა პროფესიურ კავშირს?!

დიაღ! აღმასრულებელ კომიტეტს თუ არა სურს, კვლავ გაიმეოროს ისეთი შეცთომა, როგორც ექ. სეგალის დანიშნვა იყო, უთუოდ ექიმთა პროფესიურ კავშირს უნდა შეეკითხოს. ხოლმე და, დავარწმუნებ მოქალაქე გრიგორ ურატაძეს, ამით არავისი დემოკრატიული სინიდისი შელახული არ იქნება!

მოქალაქე გრ. ურატაძე ბძანებს: ექიმთა პროფესიურ კავშირს აღმასრულებელი საბჭოსათვის თავისი კანდიდატი არ წარმოუდგენია და საბჭო იძულებული იყო დაემტკიცებია გუბერნიის ექიმად სეგალიო. მაგრამ ეს — არ არის მართალი. ექიმთა კავშირმა სთხოვა აღმასრულებელ კომიტეტსა და გუბერნიის კომისარს, ეცნობებიათ, დაცალიერდა თუ არა გუბერნიის ექიმის ადგილი, რომ კავშირს თავისი კანდიდატი წარედგინა. კავშირმა კი ამგვარი ოფიციალური ქაღალდი მიიღო: გუბერნიის ექიმის ადგილი ჯერ არ დაცალიერებულაო და, როცა დაცალიერდება, გეცნობებათო.

იმავე დროს კავშირის თავმჯდომარემ სიტყვიერად არაერთჯერ გააფრთხილა, როგორც გუბერნიის კომისარი, აგრეთვე მოქალაქე გრ. ურატაძე, რომ, თუ, ვინიცობაა, აღმასრულებელი კომიტეტი საგუბერნიო ექიმად ვისმე კავშირის დაუკითხავად დანიშნავდა, კავშირი იმ ექიმს ბოიკოტს გამოუცხადებდა.

ამისდამიუხედავად აღმასრულებელმა კომიტეტმა გუბერნიის ექიმის თანამდებობაზე დასამტკიცებლად ექ. სეგალი წარადგინა. ექიმთა კავშირმა კი ეს ამბავი მხოლოდ მაშინ გაიგო, როდესაც ექ. სეგალი უკვე დამტკიცებული იყო!

ამგვარად სცემს პატივს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მოქალაქე გრიგორ ურატაძე ექიმთა კორპორაციას!

ეს კიდევ ცოტაა! მოქალაქე **გრიგორ ურატაძე** ექიმთა პროფესიურ კავშირს **ცილსა სწამებს**.

1) ის ამბობს; ექიმთა პროფესიურმა კავშირმა დაადგინა: თუ აღმასრულებელმა კომიტეტმა კავშირის კანდიდატი არ დაამტკიცა, სამკურნალოებში მუშაობას თავს დაანებებსო.

ეს **ცილისწამებაა**: პროფესიურმა კავშირმა დაადგინა: თუ აღმასრულებელი კომიტეტი კავშირის სამართლიან მოთხოვნას უარჰყოფს, არც ერთი ექიმი აღარ იმსახურებს, როგორც თანამდებობის პირი, ე. ი. არ აიღებს ჯამაგირს და არ გამართავს ოფიციალურ მიწერ-მოწერას გუბერნიის ექიმთან, მაგრამ როგორც სამკურნალოში, აგრეთვე სამკურნალოს გარეთ მკურნალის მოვალეობას კეთილსინიდისიერად აასრულებს.

ყველაფერი შეგიძლიათ მოგვაწეროთ, მოქალაქე გრიგორ ურატაძე, თვინიერ გულქვაობისა!

2) მოქალაქე გრიგორ ურატაძე ამბობს: ექიმთა პროფესიურმა კავშირმა ფელდშერთა კავშირთან სამკურნალო საქმის მოწყობის შესახებ მოლაპარაკება არ მოიწონაო.

რასაკვირველია, არც ეს არის მართალი, სამკურნალო საქმის შესახებ პროექტის შესახებ ექიმთა პროფესიურმა კავშირმა კიდევაც მოილაპარაკა და თავისი განაჩენიც გამოიტანა. და ეს პროექტი სრულიად საქართველოს ექიმთა ყრილობაზე იქნება განხილული. რაც შეეხება ფელდშერებთან ერთად ხსენებული პროექტის განხილვას, ფელდშერებს ჩვენ აი რა ვუთხარით. თვითეულმა პროფესიურმა კავშირმა ეს საკითხი ცალკე უნდა განიხილოს, ვინაიდან თვითეულ კავშირს საკუთარი თვალთახედვა აქვს; შემკრებელობითი როლი კი ექიმთა საზოგადო ყრილობამ უნდა აასრულოსთქო.

ჩვენი პასუხი, ცხადია, სამართლიანია. თვარა, ფელდშერები რომ მოგვეწვია, ხომ ფარმაცევტებიც უნდა მოგვეწვია, აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენლებიცა და სხ. და მაშინ ხომ პროექტს პროფესიური ხასიათი დაეკარგებოდა!

3) დასასრულ მოქალაქე გრ. ურატაძე ბრალსა გვდებს: საგუბერნიო ექიმის მიერ შავი ჭირის წინააღმდეგ თადარიგის დასაჭერად მოწვეულ საგანგებო კრებაზე ექიმებმა სეგალის დანიშვნის გამო პროტესტი განაცხადეს, კრება დემონსტრატიულად დასტოვეს და შავ ჭირთან ბრძოლაზე უარი სთქვესო.

არა, მოქალაქე გრიგორ! ჩვენ შავ ჭირთან ბრძოლაზე კი არა ვსთქვით უარი, არამედ საგუბერნიო ექიმ სეგალთან თანამშრომლობაზე, ვინაიდან ვიცოდით, რომ, ჭირი რომ გვწვეოდა, ხსენებული ექიმის მეთაურობა — გუბერნიას დაღუპავდა. ამ დემონსტრაციით ჩვენ გვეგონა თვალს ახელდით და სინამდვილეს დაინახავდით. მაგრამ მოვსტყუვდით.

ვაი ჩვენი ბრალი, თუ ასე მართალი ხართ დანარჩენ საქმეებშიაც!

**ექიმი ვასილ წერეთელი.**

## ამიერ-კავკასიის ცხოვრებიდან.

**ლტოლვილები.**

გუმრის მაზრიდან ლტოლვილები თბილისისკენ უკვე დაიძრენ. მათი რიცხვი ნახევარ მილიონს უდრის.

**ერევნის გუბერნიაში.**

ერევნის გუბერნიაში ბევრი სოფლებია დარბეული. მცხოვრებლები გარბიან. მდგომარეობა მათი კრიტიკულია. მომავალი წლისათვის გუბერნიაში მოსალოდნელია დიდი შიმშილობა რადგანაც გლეხებს ყანები არ დაუთესიათ. ოსმალეთიდან დიდძალი ლტოლვილები გამორბიან ლტოლვილების გასადევნათ და სიწყნარის აღსადგენათ გუბერნიის კომისარი შეიარაღებულ ძალას თხოულობს.

**განადგურებული სომხის სოფლები**

მუსულმანების მიერ ხუხის მაზრაში განადგურებულა 10 სოფელი, სადაც სცხოვრობდა 532 ოჯახი 3131 სული. არეშის მაზრაში კი განადგურებულია 6 სოფელი სადაც ცხოვრობდა 710 ოჯახი 3681 სული.

**იორამ თარხან მოურავის ოჯახის აკლება.**

ს. ახალქალაქში ყელი გამოსჭრეს 85 წლის კნეინა პელაგია იორამის ასულს თარხან მოურავისას და მოსამსახურე ქალს ნინო ხუციშვილისას 80 წლისა, აიკლეს მთელი ოჯახი, სადაც თავადი იორამი ცხოვრობდა. ბოროტ გამზრახველთ უზიდიათ „ნადავლი“ და დაუსჯელად მიმალულან.

**ბოლშევიკების წინააღმდეგ.**

ევლახიდან ამიერ კავკასიის მთავრობას პოლკოვნიკი მალალოვი სთხოვს ორ პოლკ ჯარს, რომ ბოლშევიკებთან შეტევა დაიწყოს.

**მდგომარეობა ბორჩალოს მაზრაში.**

ბორჩალოს მაზრის მუსულმანური სოფლების წარმომადგენლები ამ დღეებში წარუდგენ სეიმის მუსულმანთა ფრაქციის წევრებს, განუმარტეს აუწერელი მდგომარეობა მცხოვრებლებისა, რაც გამოწვეულია ავაზაკების თავდასხმით და დახმარება სთხოვეს.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, გოკიალოვის სახლი, ქუთაისში.